მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე(60 კრედიტიანზე) მიღების წინაპირობები

პროგრამაზე მიღება ხორციელდება „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანების შესაბამისად. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:
ა) საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
ბ) სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩარიცხვის წლის 15 თებერვლამდე აცხადებს აპლიკანტთა მიღებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) მიერ დადგენილი ელექტრონული ფორმით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ აპლიკანტი მასწავლებლისმომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით გადის სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე.
(გამოცდის ჩაბარების ფორმასა და გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურები აპლიკანტს მიეწოდება ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით) მაგალითისათვის - გამოცდის შინაარსს, ჩატარების ფორმასა და გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებისათვის იხ. ლინკი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე) https://sjuni.edu.ge/2024-09/ .

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს წერით გამოცდას - გასაუბრების კომპონენტით.
ნიმუში იხილეთ: https://forms.gle/T4YpTKc4DrhogYWK6
წერითი კომპონენტი ფასდება 20 ქულით, გასაუბრების კომპონენტი კი 10 ქულით.

ნიმუში - დავალება: შედგება ხუთი საკითხისგან, თითოეული საკითხი ფასდება მაქსიმალური 5 ქულით.
შეფასების რუბრიკა /წერითი კომპონენტი - 20 ქულა

ნიმუში:
თითოეული საკითხის გარშემო წარმოადგინეთ თქვენი მიდგომა/ხედვა

1. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლების იდენტიფიცირება.
2. ამგვარი გარემოს შექმნის აუცილებელი სტრატეგიების მოყვანა.

(მინიმუმ ორი მაგალითი)

3. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების განსხვავებების ცოდნა.
4. კვლევის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება მოსწავლეთა თავისებურებების დასადგენად.
5. მოსწავლეების მიერ მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების პრაქტიკული აქტივობების მოყვანა.

საკითხის შეფასების რუბრიკა

შეფასების რუბრიკა

არადამაკმაყოფილებელი (1 ქულა)	**დამაკმაყოფილებელი (2 ქულა)**	**კარგი (3 ქულა)**	**ძალიან კარგი (4 ქულა)**
მონაწილე ვერ ავლენს მასალის ცოდნას	მონაწილე ნაკლებად ავლენს მასალის ცოდნას; უჭირს თავისი მოსაზრებების არგუმენტირებულად დასაბუთება	მონაწილე მეტწილად ავლენს მასალის ცოდნას; ძირითადად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს არგუმენტირებულად.	მონაწილე სრულად ავლენს მასალის ცოდნას; ასაბუთებს თავის მოსაზრებებს არგუმენტირებულად

შიდა გამოცდის წერითი კომპონენტი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მონაწილე მიიღებს წერითი კომპონენტის მაქსიმალური ქულის არანაკლებ 51%-ს, ანუ 11 ქულას.
ზეპირი კომპონენტი(გასაუბრება) - 10 ქ

ა) **გამართული და სწორი მეტყველება - 4 ქულა**
- გამართულად მეტყველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ–გამომსახველობით საშუალებებს - **4 ქულა**
- გამართულად მეტყველებს, იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს - **3 ქულა**
- იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, მეტ-ნაკლებად გამართულად საუბრობს - **2 ქულა**
- უჭირს გამართულად საუბარი, ვერ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს - **1 ქულა**
- ნათქვამის აზრი ბუნდოვანი და გაუგებარია - **0 ქულა**

ბ) **სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა - 3 ქულა**

- სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად. საკითხს აშუქებს ამომწურავად და თანმიმდევრულად **3 - ქულა**
- სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად, საკითხს აშუქებს - **2 ქულა**
- სათქმელს გადმოსცემს გასაგებად - **1ქულა**
- უჭირს სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა - **0 ქულა**

გ) დროის ლიმიტის დაცვა - 3 ქულა

- ეფექტურად იცავს დროის ლიმიტს - **3 ქულა**
- იცავს დროის ლიმიტს - **2 ქულა**
- მეტ–ნაკლებად ახერხებს დროის ლიმიტის დაცვას - **1 ქულა**
- ვერ ახერხებს დროის ლიმიტის დაცვას - **0 ქულა**

შიდა გამოცდის ჩაბარების შემდეგ დაინტერესებულ მხარეთათვის შედეგების გაცნობის მიზნით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება რანჟირების დოკუმენტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის პირი, რომელმაც საგნის გამოცდა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რანჟირების დოკუმენტს ქმნის შესაბამის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

თუ რანჟირების დოკუმენტის შექმნის პროცესში აღმოჩნდება, რომ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ აპლიკანტს, უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში მასწავლებლისმომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების დამატების თაობაზე.

აპლიკანტთა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედროაღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აპლიკანტის ჩარიცხვა ფორმდება, უნივერსიტეტსა და აპლიკანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები, უნივერსიტეტის მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი.